ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 7-ის
(ღვინომასალების შენახვაზე)
დამატებით შეთანხმება

ქ. გურჯაანი 30 ივლისი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა ერთის მხრივ ს.ს. **„აკურა“**, მისმა დირექტორმა **გელა ბეზარაშვილმა** და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ტემპი+“** მისმა დირექტორმა **ვ. ქუჩუკაშვილმა**, 2015 წლის 1 თებერვალს მხარეებს შორის დადებული ღვინომასალების შენახვის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №7-ის საფუძველზე შევადგინეთ აქტი შემდეგზე:

1. ს.ს. **„აკურა“**-ს და **შ.პ.ს. „ტემპი+“**-ს შორის 2015 წლის 01 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 7-ის თანახმად, ღვინომასალების შენახვის საორიენტაციო ღირებულება შეადგენდა **3300** ლარს, რეალურად ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შენახვის მომსახურების საერთო ღირებულებამ, 2015 წლის 18 მარტის მდგომარეობით შეადგინა **480** ლარი, ხოლო ასათვისებელი დარჩა **2820** ლარი.
2. ს.ს. **„აკურა“**-ს და **შ.პ.ს. „ტემპი+“**-ს შორის გაფორმებული ღვინომასალების შენახვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 2015 წლის 18 მარტისთვის **შ.პ.ს. „ტემპი+“**-ში ს.ს. **„აკურა“**-ს კუთვნილი ღვინომასალების მარაგების ამოწურვის გამო, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეწყდა.
3. მხარეები ვთანხმდებით, რომ ერთმანეთის მიმართ 2015 წლის 1 თებერვალს დადებული ღვინომასალების შენახვის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №7-დან წარმოშობილი არანაირი პრეტენზია ან/და შეუსრულებელი ვალდებულება არ გაგვაჩნია.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

ს.ს. **„აკურა“**-ს	**შ.პ.ს. „ტემპი+“**-ს
დირექტორი:	დირექტორი:
---------- /გ. ბეზარაშვილი/	---------- /ვ. ქუჩუკაშვილი/